
ანგარიში
საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2011 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტატუსი განსაზღვრულია ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 26 ნოემბრის №859 ბრძანებულების საფუძველზე.


საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა. ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, საზედამხედველო ორგანოები, მათი ვალდებულებები და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებები.

მოქმედი კანონმდებლობით მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. 2011 წელს სამსახურში სულ შემოვიდა 123 098 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის 20 896 ფორმა საეჭვო გარიგების (ოპერაციის) თაობაზე, ხოლო 102 202 ზღვარს ზემოთ განხორციელებული ოპერაციის შესახებ. გასული წლების მსგავსად, ინფორმაციის ძირითადი მოცულობა წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ – 76 754 ანგარიშგების ფორმა. რაც შეეხება მონიტორინგის განმახორციელებელ სხვა პირებს, აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია 7147 ანგარიშგების ფორმა, სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ – 157, საბროკერო კომპანიების მიერ – 128, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ – 254, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ – 7812, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიერ – 258, არასაბანკო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ – 29 ანგარიშგების ფორმა, ნოტარიუსების მიერ – 6380, სამორინეების მიერ – 23, ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების მიერ – 16, საბაჟო სამსახურის მიერ – 657 და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ – 23 483 ანგარიშგების ფორმა.

გრაფიკულად 2011 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:



საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში 2010 წელთან შედარებით 2011 წელს შემოსული ინფორმაციის მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:



საანგარიშო წლის მანძილზე მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს გადასცა 15 საქმე, მათ შორის 13 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ხოლო 2 ტერორიზმის დაფინანსების სავარაუდო შემთხვევებზე.

საანგარიშო წლის მანძილზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან – საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების შედეგად საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2011 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 34 შეკითხვა და 1 პასუხი ქართული მხარის შეკითხვაზე. უცხოელ კოლეგებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაეგზავნა 2 შეკითხვა და 34 პასუხი მათ შეკითხვებზე. ორმხრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2011 წელს მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულ იქნა ბელორუსიისა და ფინეთის შესაბამის სამსახურებთან. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გაფორმებული აქვს მემორანდუმი 30 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან (ლიხტენშტეინი, უკრაინა, სერბეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, ისრაელი, სლოვენია, რუმინეთი, ტაილანდი, პანამა, ბელგია, ბულგარეთი, ჩინეთი, ხორვატია, სომხეთი, მოლდოვა, ლიბანი, ინდონეზია, თურქეთი, შვედეთი, მაკედონია, პოლონეთი, ლატვია, კვიპროსი, არუბა, ანდორა, სან-მარინო, ინდოეთი, ბელორუსი და ფინეთი).

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, 2011 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ან საყურადღებო ზონებისა და ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განსაზღვრის მიმართულებით. ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების შედგენა ხორციელდება ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტის (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს №1267 რეზოლუციის საფუძველზე) და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების გადაწყვეტილებების საფუძველზე. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებულ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში (რომელიც დამტკიცებულია „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანებით) საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის უფროსის ბრძანებების საფუძველზე რამდენჯერმე განხორციელდა დამატება და ცვლილება (ბრძანებები №0211/04-1 04.02.2011; №0311/24-1 24.03.2011; №0511/06-1 06.05.2011; №0511/30-1 30.05.2011; №0711/18-1 18.07.2011; №0811/15-1 15.08.2011; №1011/04-1 04.10.2011; №1111/24-2 24.11.2011 და №1211/05-1 05.12.2011). ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი

კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების დროული პრევენცია.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 1 ივლისს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ან საყურადღებო ზონების განსაზღვრის უფლებამოსილება, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ნაცვლად, მიენიჭა საქართველოს ეროვნულ ბანკს. შესაბამისად, 2011 წლის 24 აგვისტოს გამოიცა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №65/04 „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის საყურადღებო ზონების ნუსხის დადგენის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც ხელახლა განისაზღვრა საყურადღებო ზონების ნუსხა. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე, ასევე დაეგზავნათ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს.

2011 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებულად გაგრძელდა მუშაობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სრულყოფის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით, საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა კანონპროექტი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2011 წლის 20 დეკემბერს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით განხორციელდა კანონში არსებული ზოგიერთი დეფინიციის, ასევე მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ცალკეული ვალდებულებების დაზუსტება და მათი ჰარმონიზაცია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებსა და ევროკავშირის მესამე (2005/60/EC) დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად:

- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-13 რეკომენდაციის მოთხოვნების სრულად ასახვის მიზნით, დაზუსტდა კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტში მოცემული „საეჭვო გარიგების“ დეფინიცია;

- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მე-12 და მე-16 რეკომენდაციების შემდგომი იმპლემენტაციისა და ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექპერტთა (Moneyval) კომიტეტის მოთხოვნის შესრულების მიზნით, კანონის მოქმედება გავრცელდა სალიზინგო კომპანიებსა და პირებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ მომსახურებას;

- სალიზინგო კომპანიების საზედამხედველო ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო იმ პირების საზედამხედველო ორგანოდ, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ მომსახურებას – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაცია;

- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-5 რეკომენდაციის შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით, არსებითად შეიცვალა კანონის მე-6 მუხლის შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებებს გარიგების და მასში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვასთან დაკავშირებით;

- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-10 რეკომენდაციის მოთხოვნის შესაბამისად კანონში დაზუსტდა მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებები გარიგების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვასთან დაკავშირებით.

- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-13 რეკომენდაციის შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით, ცვლილებები განიცადა ასევე მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებებმა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ანგარიშგების ფორმების წარდგენის ვადებთან დაკავშირებით.

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ცვლილებები შეეხო ასევე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებების განმსაზღვრელ ზოგიერთ საკანონმდებლო დებულებას.

აღსანიშნავია, ასევე ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ'' საქართველოს კანონში 2011 წლის 25 ნოემბერს შეტანილი დამატებები, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შემდგომი იმპლემენტაციისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1267 და №1373 რეზოლუციების შესრულების მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნას და მისი უფლებამოსილებების განსაზღვრას.

2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ირგვლივ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ინფორმირების მიზნით, საანგარიშო წლის დეკემბერსა და მიმდინარე წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები ფინანსური ინსტიტუტებისა და საქართველოს პროფესიონალ

ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წარმომადგენლებთან, რომლებთან კოორდინირებულადაც შემუშავდა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2011 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომლის ორგანიზებით 6-9 ივნისს თბილისში გაიმართა საგანგებო ტრენინგი. ტრენინგის მიზანი იყო უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშემწყობი ეროვნული სისტემის შეფასების პროცესისთვის საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლების მომზადება. ტრენინგში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროს (მათ შორის, მთავარი პროკურატურის) თანამშრომლები.

2011 წლის 28 ნოემბრიდან – 13 დეკემბრამდე საქართველოს სტუმრობდა საერშთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა მისია, რომლის მიზანი იყო მეოთხე რაუნდის ფარგლებში საერთაშორისო რეკომენდაციებთან მიმართებაში უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშემწყობი ეროვნული სისტემის შეფასება და ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექპერტთა (Moneyval) კომიტეტისთვის საგანგებო ანგარიშის მომზადება. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული ანგარიშის ტექსტზე ქართული მხარისა და სავალუტო ფონდის მხრიდან ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა და დაგეგმილია, რომ მეოთხე რაუნდის შეფასების ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული ანგარიში მიმდინარე წელს იქნება განხილული Moneyval-ის კომიტეტის პლენარულ სხდომაზე.

2011 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში. კერძოდ, 2011 წლის 4-7 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტის ორგანიზებით, თბილისში გაიმართა ტრენინგი ფინანსური ანალიზის ტექნიკის საკითხებზე. 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თელ-ავივში Moneyval-ის კომიტეტის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგ-სემინარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. 2011 წლის 23 – 31 ივლისს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექპერტთა (Moneyval) კომიტეტის მიერ ევოლუციაში მონაწილე შემფასებლებისთვის ორგანიზებულ ტრენინგს.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეობით საქართველოს დელეგაციამ 2011 წლის მანძილზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) გეგმიური პლენარული სხდომების მუშაობაში. 2011 წლის 12-16 ივლისს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ერევანში ეგმონტის ჯგუფის მე-19 პლენარული სხდომის მუშაობაში. საქართველოს ფინანსური

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობდა აგრეთვე 2011 წლის 25-28 მაისს კიევში, სუამ-ის სამდივნოში გამართული კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუამის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომის მუშაობაში.